

ჰოსტალიზმი და კომუნისტური რეჟიმები

დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ გამოსაქვეყნებლად მომზადებული რეცენზია მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ფეისბუკ სტატუსისაგან, რომელიც 2018 წელს დაწერა ბ. კობახიძემ. მიმაჩნია, რომ მსგავსი ტონი უპირველესად ავტორს აყენებს ჩრდილს და შორს არის მეცნიერული დისკუსიისაგან. ამასთანავე, ყოველგვარ სურვილს გიშვობს პასუხი გასცე და სიმართლე დაუსაბუთო. ამჯერად კი, რამდენიმე უხემ გამონათქვამს თუ არ ჩავთვლით, რეცენზია საქმიანია და დაწერილია სამეცნიერო ეთიკის ნორმებით, რაც მისასალმებელია.

ვიდრე უშუალოდ რეცენზიაში დასმულ საკითხებს შევეხებოდეთ, მსურს მკითხველს განვუმარტო თავად ჩემი სტატიის დაწერის მიზანი. წლებია ვმუშაობ შუა საუკუნეების დიპლომატიურ ეტიკეტზე, რომლის დროს სახელმძღვანელოსთვის – „ქართული დიპლომატიის ისტორია“ შეიქმნა შესაბამისი თავები – „დიპლომატიური სამსახური და ეტიკეტი XI-XII სს-ის საქართველოში“ და „დიპლომატიური ეტიკეტი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში“.¹ ამას გარდა, ცალკე ნაშრომი მივუძღვევით იმერეთის სამეფოს დიპლომატიურ ეტიკეტს.² გეგმის მიხედვით, ჩაფიქრებული გვაქვს ერთიანი ნაშრომის შექმნა, რომელშიც დიპლომატიური სამსახურისა და ეტიკეტის ისტორია იქნება გადმოცემული უძველესი დროიდან დღემდე. ბუნებრივია, არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ 10-გვერდიან სტატიაში შევისწავლიდით 1918-1921 წლების საქართველოს დიპლომატიური სამსახურის ისტორიას. ჩვენი ერთი სტატია – „იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი დონ კრისტოფორო დე კასტელის მიხედვით“ მოცულობით 43 გვერდია. ბუნებრივია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახურის შესწავლა გაცილებით მოცულობით სამუშაოს მოითხოვს. უნდა დავეთანხმოთ რეცენზენტს, რომ ამ თემაზე რამდენიმე მონოგრაფია და დისერტაცია შეიძლება დაიწეროს. ჩვენი მიზანი იყო აქცენტები გაგვეკეთებინა მთავარ საკითხებზე, რომელთა შესწავლა და სათანადოდ დამუშავება მომავალში მოხდებოდა საგანგებო მონოგრაფიაში. მე მივიღებდი რეცენზენტის კრიტიკას, რომ არა ერთი ნიუანსი, რა მნიშვნელობა აქვს სტატიის მოცულობას, თუ მასში დასმული საკითხები და მოხმობილი საარქივო დოკუმენტები (თუნდაც რამდენიმე) მანამდე შესწავლილი არ იყო. მესმის, რეცენზენტს დაესახელებინა ერთი ავტორი მაინც, რომელსაც ჩვენამდე კონკრეტულად შესწავლილი ჰქონდა ის საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მოხმობილია სტატიაში. და თუ ასეთი კვლევა მანამდე ქართულ ისტორიოგრა-

1 იხ. სამუშია, ჯაბა. 2003. დიპლომატიური სამსახური და ეტიკეტი XI-XII სს-ის საქართველოში. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; იხ. ასევე, სამუშია, ჯაბა. 2003. დიპლომატიური ეტიკეტი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

2 იხ. სამუშია, ჯაბა. 1998. იმერეთის სამეფოს დიპლომატიური ეტიკეტი დონ კრისტოფორო დე კასტელის მიხედვით. კრ. ქართული დიპლომატია (დამატება), 95-138.

ფიაში არ არსებობდა, ნაშრომი 10 გვერდიანი იქნება თუ 50 გვერდიანი, რა მნიშვნელობაა? მთავარი ჩვენს სტატიაში იყო შემოგვეფარგლა საკითხთა ის წრე, რომელიც ეხებოდა დიპლომატიური სამსახურის მანამდე ნაკლებად შესწავლილ საკითხებს: როგორ იყო მოწყობილი საქართველოს დიპლომატიური მისიები (საელჩოები) 1918-1921 წლებში, როგორი სტრუქტურა ჰქონდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რა ანაზღაურება ჰქონდათ ქართველ დიპლომატებს, რა დამატებითი ფუნქცია ჰქონდა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს უცხოეთში (მათ შორის საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება), როგორი იყო უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები (პოლონეთის მისიის მაგალითზე) საქართველოში. ამ საკითხებზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ რამდენიმე საარქივო დოკუმენტი და შევეცადეთ, ძირითადი აქცენტები გაგვეკეთებინა. კვლევის შემდგომი ეტაპი იყო იმ დიდი საარქივო მასალის შესწავლა, რომელიც იმ დროს (2010-2011 წლებში), როცა სტატია იწერებოდა, ჯერ კიდევ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ დამუშავების პროცესში იყო და ამის შესახებ შენიშვნაში ვწერთ კიდევ: „ამჟამად ორივე ეს ნაწილი (მხედველობაში გვექონდა პარიზული და ჰარვარდული ნაწილი. ჯ.ს.) გაერთიანებულია, ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში და მიმდინარეობს მისი დამუშავება.“³ სწორედ ამიტომ ჩვენ დასაწყისში შევისწავლეთ ის ნაწილი საარქივო მასალისა, რომელიც დარჩა საქართველოში 1921 წლის შემდეგ და საბჭოთა პერიოდში გასაიდუმლოებული იყო.

ამ შესავლის შემდეგ გვსურს გადავიდეთ უშუალოდ შენიშვნების განხილვაზე. მკითხველისთვის უფრო ადვილი რომ იყოს საკითხში გარკვევა, შევეცადები ყველა იმ შენიშვნისა თუ უზუსტობის საწინააღმდეგოდ, რაც ვითომ აღმოაჩინა ბატონმა კობახიძემ ჩემს სტატიაში, ვუპასუხო არა ჩემი ინტერპრეტაციებით, არამედ დოკუმენტებით. ფაქტობრივად, ჩვენი პასუხი შეიძლება დავასათაუროთ შემდეგნაირად – „დოკუმენტები ბ. კობახიძის რეცენზიის წინააღმდეგ.“ ოპონენტი აღნიშნავს, რომ იგი სხვადასხვა არქივში მუშაობდა ამ პერიოდის საარქივო და სხვა სახის დოკუმენტებზე, თუმცა ნამდვილად მიჭირს იმის ახსნა, როგორ გამოეპარა ეს მასალა მას მხედველობიდან.

პასუხი 1.

რეცენზენტი აკაკი ჩხენკელის ბიოგრაფიის ცნობილ ფაქტებს იხსენებს, თუმცა როცა საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას იწყებს, სცილდება ისტორიულ რეალობას და საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. იგი წერს: „ჩხენკელი ცნობილი იყო, როგორც გერმანული ორიენტაციის პოლიტიკოსი. ომში გერმანიის დამარცხებისთანავე (1918 წლის ნოემბერი) მთავრობამ ის მოხსნა თანამდებობიდან და სთხოვა, რომ ჩრდილში დარჩენილიყო, რადგან ძალიან იყო „გაშავებული“ და ანტანტის (მოკავშირეთა) წარმომადგენლებთან მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა.“

ძალიან შორს არის ეს ყოველივე სინამდვილისგან.

აკაკი ჩხენკელი მართლაც გერმანიაში იყო 1918 წლის ზაფხული-შემოდგომის პერიოდში. მის მოვალეობას ასრულებდა ევ. გეგეჭკორი. 1918 წლის 9 ნოემბრის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა: „ბ-ნი აკაკი ივანეს-ძე ჩხენკელი დაინიშნა საქართ-

³ ჩვენი სტატია იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური, კრ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბილისი, 2012, 321-330.

ველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად გერმანიის მთავრობის წინაშე – ბერლინში:⁴ ამ მოვლენიდან დაახლოებით ერთ კვირაში აკ. ჩხენკელი გაათავისუფლეს მინისტრობიდან (მთავრობის 22 ნოემბრის დადგენილებიდან ცნობილი ხდება, რომ იგი 15 ნოემბრიდან განთავისუფლებულა მინისტრობიდან⁵), ხოლო 22 ნოემბერს, ეს „გამავეებული“ და „გადამალული“ ჩხენკელი ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სრულუფლებიან ელჩად ევროპის ყველა სახელმწიფოში. ბრძანებას ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე. განკარგულება #49 (22 ნოემბერი 1918 წელი) – „დაინიშნოს აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სრულუფლებიან ელჩად ევროპის ყველა სახელმწიფოში საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად. მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანი.“⁶ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (15 ნოემბერი) წერდა, რომ აკ. ჩხენკელი „ბერლინიდან ბერნში (შვეიცარია) გაემგზავრა, რომ იქ მოელაპარაკოს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს საქართველოს შესახებ.“⁷ რა იყო მთავარი ამ მოლაპარაკების ჟამს? იქვე გაზეთში დაბეჭდილია ოფიციალური განცხადება, თუ რა პრინციპით უნდა დამსხდარიყო ქართული დელეგაცია მოლაპარაკების მაგიდასთან: „შეთანხმების სახელმწიფოებმა მალე უნდა გამოარკვიონ, თუ როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსადმი: სთვლიან ისინი მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თუ არა, ფაქტიურად, ისინი უნდა დათანხმდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე. თუ ასე იქნება, ისინი, რასაკვირველია, მოითხოვენ გერმანიის ჯარების გაყვანას საქართველოდან და მაშინ აქ დარჩება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობა გერმანიისა.“⁸ ფაქტობრივად, აკ. ჩხენკელი ანტანტასთან მოსალაპარაკებლად გაუშვეს და როდისღა „გადამალეს“? არაფერი ამის მსგავსი არ მომხდა და ეს ჩანს თავად აკ. ჩხენკელის მიმოწერიდან. 1918 წლის 6 დეკემბერს, უკრაინაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს, ბიქტორ თევზაიას იგი სწერდა: „ანტანტას გავაცანით ჩვენი დამოკიდებულება გერმანიასთან, არც ის დაგვიმალავს, რომ უკანასკნელმა გვიხსნა ოსმალეთის აგრესიისგან!.. მე დარწმუნებული ვარ, ამის ზოგიერთი საბუთიც მაქვს, ანტანტა დადებითად შეხვდება ჩვენს დამოუკიდებლობას, სიმძიმის ცენტრი ჩვენზეა, ე. ი. ერზე – მოითხოვს თუ არა ის მტკიცედ ამას. რუსეთთან ყოფნის პერსპექტივა მიუღებელია ჩვენთვის არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც“⁹. ეს არის რეალობა. აკ. ჩხენკელი დიპლომატიური ბრძოლის ეპიცენტრშია და, ამჯერად, უკვე მოკავშირეებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. რაც შეეხება კორექტურას, რომელიც გაიპარა წერილში აკ. ჩხენკელის თანამდებობიდან მოხსნის თარიღთან დაკავშირებით, მაგ მონაკვეთში ბეჭდვისას მთელი სამი წინადადებაა ამოვარდნილი. სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება. თავად რეცენზენტსაც მოსვლია ასეთი კორექტურული შეცდომები. მაგალითად, თავის ერთ-ერთ წერილში იგი წერს, რომ „მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, დავით აღმაშენებელმა აიღო ქალაქები ანი (ანისი), კარი (ყარსი) და ადგილობრივ სომხებს აღმსარებლობის თავისუფლება მიანიჭა“ (კობახიძე 2021). არა, ბატონო ბექა, დავით IV-ს კარის (ყარსის) ციხე არ აუღია და არც კარის ქვეყანა შემოუერთ-

4 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 9 ნოემბერი, 1918, #87, გვ. 3.
 5 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 27 ნოემბერი, #102, 1918, გვ. 1.
 6 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 27 ნოემბერი, #102, 1918, გვ. 1.
 7 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 15 ნოემბერი, #92, 1918, გვ. 3.
 8 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 15 ნოემბერი, #92, 1918, გვ. 3.
 9 სეა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 87, ფურცელი 1.

თებია. ეს თამარის დროს მოხდა. ალბათ გინდოდათ გეთქვათ, „დავითისა და თამარის ეპოქაში“ ქართველებმა ეს ციხეები აიღესო. ასე რომ, შესაძლებელია კორექტურის გაპარვა. ისე, მთელს ჩვენს წერილში ეს არის ერთადერთი კორექტურული უზუსტობა, რომელიც შეეხება ქრესტომათიულ საკითხს და სრულებითაც არ არის არსებითი. ნებისმიერ ცნობარში შეიძლება ამის ამოკითხვა.

პასუხი 2.

რეცენზენტი ჩემს ციტატას („საგარეო უწყების თანამშრომლებისა და უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლების უმრავლესობას დიდი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდათ იმპერიის მასშტაბით, ამიტომაც მათ ადვილად აუღეს ალლო დიპლომატიურ საქმიანობას“) ასეთ კომენტარს უკეთებს: „ავტორი არც გვარებს ასახელებს, არც სქოლიოში წყაროს უთითებს და ცოტა გაუგებარიც არის, რა აქვს მხედველობაში“. ამ ციტატას რეცენზენტი მოაყოლებს თავის ინტერპრეტაციას, თუ რას ვგულისხმობ. მოდი, რასაც ვგულისხმობ, თავად ვიტყვი, უფრო ზუსტად, სტატიაში ვთქვი და ამას დამატებითი კომენტარები არ სჭირდება. საჭიროა მთელი კონტექსტის ზუსტი გააზრება, რეცენზენტმა კი ციტატა შუაში გაწყვიტა. აი მე რას ვწერ: „1918 წელს კი, როდესაც დაიწყო ახალი სახელმწიფოს ფორმირება, პროფესიონალი დიპლომატების დეფიციტი მართლაც შეიმჩნეოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ხარვეზი მოკლე ხანში დაიძლია. საგარეო უწყების თანამშრომლებისა და უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლების უმრავლესობას დიდი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდათ იმპერიის მასშტაბით, ამიტომაც მათ ადვილად აუღეს ალლო დიპლომატიურ საქმიანობას.“ რა არის აქ გაუგებარი და საკამათო? კონტექსტის შუაში გაწყვეტის შემდეგ რეცენზენტმა თავისთვის სასურველი შინაარსი მიიღო, არადა აზრი ნათელია, 1918 წელს პროფესიონალი დიპლომატების დეფიციტი იყო ქვეყანაში, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური გამოცდილების მქონე პირებმა შეძლეს ადვილად აეღოთ ალლო ამ სფეროსთვის. მკითხველმა განსაჯოს, რასაც რეცენზენტი მედავება, იგივე წერია. ან რეცენზენტის მიერ ზურაბ ავალიშვილის, კონსტანტინე ჯაყელის, მიხეილ სუმბათაშვილისა და დავით ღამბაშიძის დასახელება რას ემსახურება? ჩვენ ამ უკანასკნელთაც ვგულისხმობთ და იმათაც, რომლებიც მანამდე პარტიულ თუ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ – აკ. ჩხენკელს (სოც-დემ. სწავლობდა მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში), ბიქტორ თევზაიას (სოც-დემ. დაამთავრა ჟენევის იურიდიული ფაკულტეტი), სოსიპატრე ასათიანს (სოც-დემ. უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული აქვს ჟენევის უნივერსიტეტში), სიმონ მდივანს (სოც-ფედ. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტი), კონ. საბახტარაშვილს (სოც-დემ. სწავლობდა მოსკოვისა და ჟენევის უნივერსიტეტებში), ვლადიმერ ახმეტელს (სდპ, უმაღლესი განათლება მიიღო გერმანიაში, 1904 წელს ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია), გიორგი მაჩაბელს (სწავლობდა ბერლინის სამთო აკადემიაში) და სხვა.¹⁰ ესენი არ ჩამოყალიბდნენ დიპლომატებად თუ რამეს უწუნებს ბატონი ბექა მათ პროფესიონალიზმს?

¹⁰ ამ და სხვა ქართველ დიპლომატთა შესახებ იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ. 2018.

პასუხი 3.

რეცენზენტი წერს: „საელჩოს ვერ შექმნის და გახსნის სახელმწიფო, რომელიც იურიდიულად არ არის მასპინძელი ქვეყნის მიერ აღიარებული. შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ორი საელჩო ჰქონდა ევროპაში: 1920 წლის სექტემბრიდან ბერლინში და 1921 წლის თებერვლიდან პარიზში. სავარაუდოდ, აქ ავტორი გულისხმობს იმ **არაფორმალურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს** (ხაზგასმა ჩვენია), რომელიც საკმაოდ ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ევროპაში.“ ჯერ ერთი, უკვე შეცდომაა, როდესაც დღევანდელ ტერმინებს – ელჩს ან საელჩოს რეცენზენტი პირდაპირ უსადაგებს ერთი საუკუნის წინანდელ დიპლომატიურ პრაქტიკას. იმ დროს სხვა დიპლომატიური პროტოკოლი მოქმედებდა და ბევრ ქვეყანას შინაარსობრივად კი ჰქონდა საელჩო, მაგრამ მას სხვა სახელწოდებით იხსენიებდნენ. ქვემოთ ჩვენ განახებთ, რომ რეცენზენტის მიერ მითითებულ გერმანიასა და საფრანგეთშიც საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას 1921 წლის შემდეგ, როგორც ასეთი, საელჩო არ ერქვა და რა გამოდის, ეს საელჩოები არ არსებობდა? აი, რას ვწერ სინამდვილეში (ჩემი ციტატები იმიტომ მომყავს, რომ ბ. კობახიძე ისეთ რამეს მწამებს, რაც არ მითქვამს): „1918 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ დაიწყო საელჩოების შექმნა ევროპისა თუ აზიის ქვეყნებში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ევროპულ ქვეყნებზე. ამიტომაც ყველაზე მეტი საელჩო ფუნქციონირებდა ევროპის სახელმწიფოებში. საქართველოს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა: საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, შვედეთში და ნორვეგიაში, იტალიასა და ავსტრიაში, ინგლისში, არგენტინაში, თურქეთში, მანჯურიაში, აშშ-ში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, პოლონეთში, საბერძნეთში, სომხეთში.“ იქვე საგანგებოდ აღვნიშნე, რომ „ამ ქვეყნებში ყველგან არ იყო საელჩო, როგორც ასეთი. ძირითადად, საელჩოს ფუნქციებს ასრულებდა წარმომადგენლობები.“ რა არის აქ გაუგებარი? ყველა ქვეყანაში ჩვენს დიპლომატიურ მისიებს ერთი სტატუსი არ ჰქონდათ და ეს გასაკვირი არც არის. მართალია, ჩვენ არ ვუთითებთ, სად და როდის რა სტატუსით არსებობდა საქართველოს დიპლომატიური მისიები, ამ საკითხის შესწავლა, სტატიაში, სადაც ძირითად თეზისებს ვაყალიბებდით, არც იყო ჩვენი მიზანი. ეს ცალკე საკვლევი თემაა და აუცილებლად ვისაუბრებთ მასზე მონოგრაფიაში.

რეცენზენტის მთავარი ბრალდება კი მდგომარეობს იმაში, თუ რატომ ვხმარობთ ჩვენ ტერმინს – საელჩოს და რომ რეალურად თურმე საქართველოს 1918-1921 წლებში ჰქონია 2 საელჩო, ერთი გერმანიაში (1920 წლის სექტემბრიდან) და მეორე პარიზში (1921 წლის თებერვლიდან). ამ ლოგიკით, გამოდის, 1920 წლის სექტემბრამდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არსად საელჩო არ ჰქონია. როგორც რეცენზენტი აღნიშნავს – საელჩოს გახსნის წინაპირობა იყო საქართველოს დიპლომატიური მისიის მიმღები მხარის მიერ ჩვენი ქვეყნის იურიდიულად ცნობა. თუ ჩვენ რეცენზენტის ამ მსჯელობას მიყვებით, მაშინ ოსმალეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთსა და რუსეთთან გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო საელჩოები, რამეთუ მათ მიერ გაცილებით ადრე იქნა აღიარებული საქართველო დე-იურედ.

დავიწყოთ ორი საკითხის გარკვევით, რაზეც რეცენზენტი დიდი მონდომებით მიგვითითებს.

1. იხმარებოდა თუ არა ტერმინი საელჩო ოფიციალურად 1918-1921 წლებში (ბერლინისა და პარიზის დიპლომატიური მისიების გარდა) უცხოეთში არსებული დიპლომატიური მისიების მიმართ და ასეთი მოხსენიება ხომ არ წარმოადგენს ანაქრონიზმს, როგორც ეს რეცენზენტს მიაჩნია?
2. საქართველოს დიპლომატიური მისიები მართლაც „არაფორმალურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს“ წარმოადგენდნენ, როგორც ამას რეცენზენტი გვიმტკიცებს?

კვლავ მოვიხმოთ დოკუმენტები.

ერთ-ერთი პირველი მოხსენიება ტერმინი „ელჩისა“ გვხვდება 1918 წლის 22 ნოემბერს ნ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ბრძანებაში, რომელიც ზემოთ ერთხელ უკვე დავიმოწმეთ: „დაინიშნოს აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სრულ უფლებიან ელჩად ევროპის ყველა სახელმწიფოში საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას“¹¹. ალბათ, ნ. ჟორდანიამ უფრო უკეთ იცოდა, რა სტატუსით აგზავნიდა თავის წარმომადგენელს ევროპაში? არგუმენტად არ გამოდგება იმის აღნიშვნა, რომ მიმღები მხარე აკ. ჩხენკელს ელჩად არ მიიჩნევდაო. ფაქტია, არც 1921 წლის შემდეგ უწოდებდნენ ოფიციალურად უცხო ქვეყნის დიპლომატიები აკ. ჩხენკელს ელჩს. მართალია, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციით, მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია იყო ელჩის დანიშვნა – „მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან (მუხლი 70)“; მაგრამ მასპინძელ ქვეყანაში შეიძლება ჩვენი ელჩი არ მიეღოთ, როგორც „Ambassador“. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც, იგივე გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითი. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამოსავალი ამ შემთხვევაში არის ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის დიპლომატიური პროტოკოლის პრინციპებს და ახდენს მის უნიფიცირებას საერთაშორისო სამართალსა და პრაქტიკასთან. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციით, სრულფასოვანი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს ერქვა ელჩი. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ თანხვედრაში იყო ეს საერთაშორისო დიპლომატიურ პროტოკოლთან, ამას განსაზღვრავდა მასპინძელი მხარე. ამდენად, ჩვენთვის ამოსავალი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებები და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებები. და თუ ამ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარე და დეპუტატები უცხოეთში დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს ელჩებად მიიჩნევენ, ამას ასახავენ საგანგებო დეკრეტებში, განა ჩვენ უფლება გვაქვს ეს მასალა უგულვებლევყოთ და მათ „არაფორმალური წარმომადგენლობები ვუწოდოთ“? ჩვენამდე ნ. ჟორდანიას 1918 წლის ნოემბრის ბრძანების გარდა შემონახულია ასობით ცნობა (როგორც საგაზეთო, ასევე დიპლომატიური მიმოწერის სახით), რომლებშიც უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლები იწოდებიან ელჩებად. დავიმოწმეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ოფიციალური ცნობა, რომლებიც გამოქვეყნდა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“. 1918 წლის 29 ნოემბრის ნომერში წერია: „გარეშე საქმეთა მინისტრმა საქართველოს ელჩათ ნოვოროსიაში დანიშნა პეტრე მ. ჩინიჯაშვილი, რომელსაც მიენდო შეატყობინოს საქართველოში წამომსვლელთა, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიის

11 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 ნოემბერი, #102, 1918, გვ. 1.

საზღვრებში მხოლოდ მისი ნებართვით იქნება შემოშვებული¹². თერგის ოლქში საქართველოს რესპუბლიკის ელჩის წერილი გამოქვეყნებულია გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 24 იანვრის ნომერში: „ჩემი საელჩოს უდიდესი სიხარულია, მზათა ვართ ყველანი, ჩვენი ძალ-ღონე მშვენიერ სამშობლოს საკეთილდღეო სამსახურს შევწირეთ. საქართველოს რესპუბლიკის ელჩი თერგის ოლქში მაჩაბელი“¹³. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წ. 19 ივნისის ნომერში ვკითხულობთ: „ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს ყოფილი ელჩი ალექსი ხუნდაძე, რომელმაც საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს რუსეთის ცხოვრების შესახებ შემდეგი სიტყვა...“¹⁴ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წ. 8 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ოფიციალური ინფორმაცია კონსტანტინოპოლიდან: „ავვისტოს 18, საქართველოს საგარეო მინისტრი ინგლისის ნაღმოსანიტ ვეროპას გაემგზავრა... კონსტანტინოპოლში ევგენი გეგეჭკორმა პირველად ყოვლისა ინახულა საქართველოს საელჩო“¹⁵. ასე რომ, უცხოეთში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობების აღმნიშვნელად ამ ტერმინის ხმარება არ წარმომადგენდა რაიმე შეცდომას. ასევე, დიპლომატიურ მიმოწერაში, დემოკრატიული საქართველოს პერიოდში, არავის ეხამუშებოდა ტერმინები „საელჩო“ და „ელჩი“. ხშირად შეხვდებით ამ სტატუსს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების მიმართ. 1920 წლის 8 ნოემბერს ვარშავიდან გამოგზავნილ წერილს ასეთი მინაწერი აქვს: „საქართველოს საელჩო პოლონეთში.“ იქვე მითითებაა – „რომში მყოფ საქართველოს ელჩს.“ პოლონეთის მისიის ოფიციალურ სატიტულე ფურცელს აწერია – „საქართველოს საელჩო პოლონეთში“¹⁶ ხოლო გ. სიდამონერისთავი იხსენიება ელჩად (მისი დიპლომატიური რანგი იყო „Envoyé Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire.“ სხვათა შორის იგივე, რაც აკ. ჩხენკელისა 1921 წლის შემდეგ).¹⁷ მეტიც, საელჩოს ჰქონდა ბეჭედი წარწერით – „საქართველოს დემ. რესპ. დიპლომატიური საელჩო პოლონეთში.“ იგივე ითქმის საბჭოთა რუსეთში არსებულ საელჩოზე. სასურველია რეცენზენტს სცოდნოდა, რომ რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მთლიანად გაუქმდა მეფის რუსეთის დროინდელი რანგები, მათ შორის დიპლომატიურ სამსახურში. საბჭოთა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი იწოდებოდა მხოლოდ „Полномочный представитель“ (შემოკლებით – Полпред).¹⁸ შესაბამისად საქართველოს რუსეთში ჰყავს ელჩი, მხოლოდ ის იწოდებოდა „სრულუფლებიან წარმომადგენლად“¹⁹. მიუხედავად ამისა, ქართველი დიპლომატები შიდა მიმოწერაში „სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ სანაცვ-

12 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 ნოემბერი, #104, 1918, გვ. 2.

13 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 24 იანვარი, #17, 1920, გვ. 2.

14 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 19 ივნისი. # 135, 1920, გვ. 2.

15 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 8 სექტემბერი, #203, 1920, გვ. 2.

16 სეა, ფ. 1864, აღწერა 2, საქმე 447, ფურცელი 4.

17 სეა, ფ. 1864, აღწერა 2, საქმე 447, ფურცელი 1.

18 ობ. 1918 წლის 4 ივნისის დეკრეტი „ОБ УПРАЗДНЕНИИ РАНГОВ ДИПЛОМАТИЧЕСКИХ ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ И ОБ ИМЕНОВАНИИ ТАКОВЫХ ПОЛНОМОЧНЫМИ ПРЕДСТАВИТЕЛЯМИ РОССИЙСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ ФЕДЕРАТИВНОЙ СОВЕТСКОЙ РЕСПУБЛИКИ.“ დეკრეტში აღნიშნულია, რომ „Звания послов, посланников и других дипломатических представителей упразднить и всех представителей Российского государства, аккредитованных при иностранных государствах, именовать Полномочными Представителями Российской Социалистической Федеративной Советской Республики.“ .
Интернет архив законодательства СССР. http://www.libussr.ru/doc_ussr/ussr_299.htm (18.01.2022)

19 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 21. ფ. 11.

ლოდ ხმარობენ ტერმინ – ელჩს (Посол). პეტროგრადის საკონსულოდან გამოგზავნილ წერილში, ჯერ კიდევ 1919 წლის 18 იანვარს, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი იწოდება ელჩად (წერილის სათაურია – „Послу Грузии в России“).²⁰ იგივე სურათია საქართველოში რუსეთის საელჩოს შემთხვევაში. სრული სახელწოდება საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობისა არის – „Полномочное Представительство в Грузии“,²¹ რაც თანამედროვე დიპლომატიური პროტოკოლით საელჩოს უტოლდება. 1920 წლის 23 დეკემბერს ლონდონიდან საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თუ გახსოვთ, ერთხელ სიტყვით მოგახსენეთ, რომ ჩვენს საელჩოს (ლონდონში) რამდენიმე ანგარიშები გაუსწორებელი ჰქონდა“²². ასეთი სახის მასალა ბევრი შეიძლება მოვიხმოთ. ახლა ვნახოთ, საერთოდ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში ფართო საზოგადოება თუ მიიჩნევდა უცხოეთში არსებული წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს ელჩებად და რამდენად იხმარებოდა ეს ტერმინი ყოველდღიურ ყოფაში. მაგალითად, გაზ. „თეატრი და ცხოვრების“ 1919 წლის 26 მაისის, დამოუკიდებლობის იუბილესადმი მიძღვნილ საგანგებო ნომერში გამოქვეყნდა უცხოეთში საქართველოს წარმომადგენელთა ფოტოები, საერთო წარწერით – „საქართველოს ელჩები უცხოეთში“: აქ 7 დიპლომატის ფოტოა – აკ. ჩხენკელი (გერმანია); მ. წერეთელი (შვეიციაში); ბ. თევზაია (უკრაინაში); ნ. ქარცივაძე (ადერბეიჯანში); გ. ჟურული (ბათომში); ა. მდივანი (საბერძნეთში); მ. სუმბათაშვილი (შვეიცარიაში). ამდენად, საზოგადოება ამ ადამიანებს აღიქვამდა ელჩებად და ამ ტერმინს მათ მიმართ მარტო დღეს არ ხმარობენ ისტორიკოსები (რეცენზენტი არ უთითებს იმ ფაქტს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ჩვეულებრივი ფაქტია და მარტო ჩემს სტატიაშია არ არის საკითხი ასე დაყენებული).²³ რეცენზენტის მიერ დასახელებული ორი საელჩოს გარდა, საქართველოს გააჩნდა საელჩოები, თუმცა მათ აღსანიშნავად ევროპაში მივლინებული მისიების ნაწილის მიმართ იხმარებოდა, 1920 წლიდან მაინც, ლათინური ტერმინი – „Legation“ (მაგ. საფრანგეთი, პოლონეთი, იტალია და სხვა), ხოლო XX საუკუნის დასაწყისის დიპლომატიური პროტოკოლით უმრავლეს ქვეყნებს სწორედ ლეგაციები ჰყავდათ წარგზავნილი, რომლებიც დღევანდელი საელჩოს ტოლფასია. ამ პერიოდში ჯერ კიდევ მოქმედებდა დიპლომატიური საქმიანობის განმსაზღვრელი ვენის (1815 წლის) და ააჰენის (1818 წლის) ოქმები, რომელმაც დაადგინა დიპლომატიური რანგები, თუმცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშკარად გამოიკვეთა ამ სფეროს უნიფიცირების აუცილებლობა. მართალია, ვენისა და ააჰენის შეთანხმებამ ბევრი წინააღმდეგობა მოხსნა დიპლომატიურ ურთიერთობაში, მაგრამ გარკვეული (ფორმალური) უთანასწორობა წარგზავნილ დიპლომატიურ მისიებს შორის ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანას (მაგალითად, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, რუსეთს, თურქეთს, იაპონიას...) ჰყავდა წარგზავნილი ელჩი, ზოგიერთს კი მხოლოდ წარმომადგენელი (დესპანნი), თუმცა მათი ფუნქციები, პრინციპში, არაფრით არ განსხვავდებოდა. ბევრმა ქვეყანამ უმაღლეს დიპლომატიურ მისიად ლეგაცია აქცია, რომელიც ააჰენის პროტოკოლით ითვ-

20 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 22, ფ. 3.

21 სეა, ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 3.

22 სეა, ფონდი 2121, ანაწერი 1, საქმე 42, ფ. 2.

23 ამის ნათელი მაგალითია უკანასკნელ ხანს გამოცემული ენციკლოპედია, სადაც საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ ნახმარია ტერმინი – ელჩი. იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ. 2018.

ლებოდა პირველი კლასის დიპლომატიურ წარმომადგენლობად, მხოლოდ ამ სტატუსის მისიის გაგზავნა ვატიკანის პრეროგატივა იყო. რაკი რომის პაპის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ნუნციატურა წარმოადგენდა, ლეგაცია, ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური მისიის სახელად დამკვიდრდა, მათ შორის საქართველოსი. 1918-1921 წლების ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ლეგაციის ხელმძღვანელი, ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენელი, ელჩად აღიქმებოდა. ამიტომაცაა, რომ, საზოგადოდ, ამ პერიოდში წარმომადგენლობის აღმნიშვნელ ტერმინად საელჩოც იხმარებოდა, ხოლო დიპლომატიური წარმომადგენლის ნაცვლად, კანონის დონეზეც კი, ტერმინი ელჩი იყო დამკვიდრებული. რა თქმა უნდა, ქვეყნის აღიარების პროცესი პირდაპირ დაკავშირებული იყო საელჩოების სტატუსზე, მაგრამ ცალკეული ნიუანსის გათვალისწინება აუცილებელია, მით უფრო შეუწყნარებელია, ყველა ამ დიპლომატის „არაოფიციალურ წარმომადგენელად“ მონათვლა. ამ საკითხზე ჩვენ ვრცლად ვისაუბრებთ იმ ნაშრომში, რომლის დაწერასაც ვფიქრობთ ქართული დიპლომატიური ეტიკეტის შესწავლის ფარგლებში და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ახლა დავუბრუნდეთ რეცენზენტის შენიშვნას, რომ საქართველოს „ორი საელჩო ჰქონდა ევროპაში: 1920 წლის სექტემბრიდან ბერლინში და 1921 წლის თებერვლიდან პარიზში.“ დაინტერესდა რეცენზენტი, რა სახელწოდებით იხსენიებოდნენ ეს საელჩოები საერთაშორისო დონეზე? სამწუხაროდ, არა. გერმანიის ელჩის ვლ. ახმეტელის 1921 წლის 3 და 11 თებერვლის წერილები დაბეჭდილია ბლანკზე, რომელსაც ფრანგულად აწერია – „Legation de la Republique Georgienne.“ ხელს კი აწერს საქართველოს რესპუბლიკის ელჩი ვლ. ახმეტელი.²⁴ საფრანგეთის საელჩო კი 1921 წლის შემდეგ ასევე იხსენიება ლეგაციად. ოფიციალურ ბლანკს, მაგალითად, 1923 წელს აწერია „Legation de Georgie.“ უცხოელებიც ჩვენს საელჩოს ლეგაციის სახელით იხსენიებდნენ.²⁵ პარიზში არსებული სხვადასხვა სახელმწიფოს დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობის შესახებ არსებულ ცნობარში 1921-1933 წლებში საქართველოს წარმომადგენელი ელჩად – ambassador-ად არ იხსენიებოდა. აკ. ჩხენკელი იყო „Envoyé Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire“ ანუ საქართველოს „საგანგებო წარმომადგენელი (დესპანი) და სრულუფლებიანი მინისტრი“²⁶. ამ ცნობებით აკ. ჩხენკელი ელჩი არ ყოფილა, მაგრამ ეს ასე არ არის. XX საუკუნის პირველი მეოთხედის „Envoyé Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire“ სწორედ რომ დღევანდელი ელჩის ტოლფასი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფონდში შემონახულია პარიზში დაბეჭდილი ბროშურები, რომლებშიც მოცემულია საფრანგეთში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობები, ეს არის 1921-1932 წლების ცნობარები.²⁷ რეცენზენტს შეუძლია გადაამოწმოს სხვა ქვეყნების მაგალითზე. იმ დიპლომატთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც იხსენიებიან „Envoyé Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire“-ის სტატუსით, თავიანთი ქვეყნის ნაციონალურ ისტორიოგრაფიაში სწორედ ელჩებად არიან მიჩნეულნი. ამდენად, არანაირ შეცდომას არ შეიცავს „საგანგებო წარმომადგენლის“ სტატუსის მქონე ქართველი დიპლომატები ჩვენც ელჩებად ჩავთვალოთ.

24 ??? ფონდი 1864 ანაწერი 2 საქმე 448. ფ.

25 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 609, ფ. 38.

26 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 771, ფ. 10.

27 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 662; 817; 841; 867; 876; 891; 901; 914.

საზოგადოდ ტერმინ „ელჩის“ იმ პერიოდის დიპლომატიურ პრაქტიკაში ხმარების ფაქტი, პოლონეთში საქართველოს საელჩოს მაგალითზე შესწავლილი აქვს ო. ჯანელიძეს. მეცნიერი აღნიშნავს: „საყურადღებოა პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის გიორგი სიღამონ-ერისთავის დიპლომატიური რანგის გარკვევა. ამის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ პუბლიკაციაში იგი ელჩად, ზოგიერთში კი დიპლომატიურ წარმომადგენლად მოიხსენიება. ხსენებულ თანამდებობაზე მოღვაწეობისას მას მიმართავდნენ ან როგორც „საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს პოლონეთში“, ან „საქართველოს წარმომადგენელს პოლონეთში“. ამასთან, ბეჭედს, რომელსაც გ. სიღამონ-ერისთავი პოლონეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით იყენებდა, აწერია: „საქართველოს დემ. რესპ. დიპლომატიური საელჩო პოლონეთში“, ხოლო ოფიციალურ სახელმწიფოგებრიან ბლანკს კი „საქართველოს საელჩო პოლონეთში.“ არცთუ იშვიათად ქართულენოვან ოფიციალურ წერილებს გ. სიღამონ-ერისთავი ხელს აწერდა როგორც „ელჩი“, ხოლო ფრანგულენოვანს – „Ministre Plénipotentiaire et Envoyé Extraordinaire de la République de Géorgie en Polgone“ (ჯანელიძე 2018, 289).

ქართული დიპლომატიური პრაქტიკისთვის „ambassador“ და „Envoyé Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire“ ელჩის ტოლფასი იყო. ეს მართო ქართულ ისტორიოგრაფიაში კი არ არის მიღებული, არამედ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. XX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიას რომ გადავხედოთ, „Envoyé Extraordinaire et Ministre Plénipotentiaire“ თავისი ქვეყნის ელჩი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს გაგებულ დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტების მიერ. ო. ჯანელიძე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს დემოკრატიული საქართველოს პერიოდში შესაბამისი კანონის არარსებობაზე: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“, რაც იოლად მოჰყენდა ნათელს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ახლად შექმნილ რესპუბლიკას არც გამოცდილი დიპლომატები ჰყოლია და არც მათი საგანგებო მომზადების რაიმე კერა გააჩნდა. დიპლომატიური სამსახურისათვის შერჩეულ პირს საგარეო საქმეთა სამინისტრო რანგს თანამდებობის შესაბამისად ანიჭებდა ან უცვლიდა“(იქვე). რა თქმა უნდა, ამოსავალი ამ საკითხზე მსჯელობისას არის ის, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებას საგანგებო კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ არ მიუღია, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო ორგანოს თავისი პოზიცია არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ამ პრობლემაზე. დავიწყოთ იმით, რომ ოფიციალურ კანონებში უკვე 1919 წლიდან იხმარება ტერმინი „ელჩი“ უცხოეთში გაგზავნილი წარმომადგენლის აღსანიშნავად. ამაზე მაღალი ლეგიტიმაციის დოკუმენტი, კონსტიტუციის გარდა არ არსებობს. ჩვენ თუ გვინდა ეს საკითხი სამართლებრივ ჭრილში განვიხილოთ, მაშინ დამფუძნებელი კრების კანონი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. 1919 წლის 4 აპრილს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი – „დამფუძნებელ კრების წევრებისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს“ შესახებ, რომელშიც წერია: „დამფუძნებელ კრების წევრობა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სამსახური ერთმანეთთან შეუთავსებელია. შენიშვნა: ეს დებულება არ ვრცელდება: მინისტრებსა, მათს ამხანაგებსა, სახელმწიფო კონტროლიორსა, მის ამხანაგსა, ელჩებსა და უმაღლეს სკოლის პროფესორებსა, პრივატდოცენტებსა და რექტორებზედ (გურგენიძე 1990, 237).“²⁸ ამას გარდა, საკონსტი-

28 იხ. ასევე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, # 78, 6 აპრილი, 1919, გვ.2.

ტუციო კომისია ყველგან ხმარობს ტერმინ „ელჩს“ და კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტშიც სწორედ ეს ტერმინი შევიდა.

საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 28 თებერვლის სხდომის ჟურნალში (ესწრებოდნენ: ს. ჯაფარიძე, ქ. მ. ჩხეიძე, რ. არსენიძე, ს. კედია. დამხმარენი: გ. ნანეიშვილი, დ. ჩიქოვანი. თავმჯდომარეობდა ს. ჯაფარიძე; მდივნობდა მ. ჩხეიძე) ვკითხულობთ: „პარლამენტის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე ჯამაგირიან თანამდებობაზე ყოფნა ან ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურში. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ხმოსანი ან ეჭიროს რაიმე საპატიო თანამდებობა.

მცირე კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ კომისია სასურველად სცნობს, პარლამენტის წევრი იყოს პროფესორად უნივერსიტეტში შტატის ადგილზე, და გამონაკლისს უნდა შეადგენდნენ მთავრობის წევრები, სახელმწიფო კონტროლიორი, მათი ამხანაგები და ელჩები.

ელჩების შესახებ კითხვა ცალკე დაისვა და ხმის უმეტესობით გადაწყდა, რომ ელჩები არ იქნენ შეტანილნი დებულებაში.²⁹ ამდენად, ჯერ კიდევ 1919 წლის თებერვალში, ინტერპარტიულ დონეზე შეთანხმებული იყო, რომ უცხოეთში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ელჩი უნდა ყოფილიყო. ეს რეალობა ცალკეულ საკანონმდებლო აქტშიც აისახა. მეტიც, მათ შორის უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს ქართული დიპლომატია იხსენიებდა ელჩებად. ამას ხშირად შეხვდებით იმ პერიოდის ოფიციალურ პრესაში.

ყოველივე ზემორე თქმულიდან ასეთ სურათს ვიღებთ – ერთი მხრივ რეცენზენტის პოზიციაა, რომელიც ამბობს, რომ ელჩები მხოლოდ საფრანგეთსა და გერმანიაში იყო და ისიც 1920 წლის მიწურულს და 1921 წლის დასაწყისში დანიშნულნი, ხოლო მეორე მხრივ საარქივო და სხვა სახის მასალაა, რომლის მცირე ნაწილი ზემოთ მოვიხმეთ, სადაც ტერმინი „ელჩი“ იხმარება უცხოეთში წარგზავნილი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის აღსანიშნავად. რა გამოდის, ცდებიან ნ. ჟორდანიას, ევ. გეგეჭკორის, დამფუძნებელი კრების წევრები, იმ პერიოდის ქართული საზოგადოების წარმომადგენლები? მტყუან-მართლის გარჩევა მკითხველისთვის მიგვიწვია.

ახლა რაც შეეხება რეცენზენტის მეორე შენიშვნას, რომ ვითომ ევროპაში აკრედიტებული მისიები „არაფორმალური დიპლომატიური წარმომადგენლობები“ იყო. ნამდვილად ვერ გავიგეთ, რისი თქმა უნდა ამით რეცენზენტს. „არაფორმალური“, ამ შემთხვევაში „არაოფიციალურს“ ნიშნავს და რა ჰგონია ბატონ ბექა კობახიძეს, ეს მისიები არაოფიციალურად იყვნენ წარგზავნილები ან არადა, არაოფიციალურად იყვნენ მიღებულნი მასპინძელ სახელმწიფოთა მიერ? ქართულ ისტორიოგრაფიაში არ მგონია იყოს ისტორიკოსი, რომელიც ამ აზრს იზიარებდეს. ეს ნონსენსია. დიპლომატიაში ასეთი რამე არ ხდება. უმაღლესი რანგის მოლაპარაკებები, შეხვედრები, ცალკეულ სახელმწიფოსთან გაფორმებული შეთანხმებები, დიპლომატიური მისიების გაცვლა – ყველაფერი ეს „არაოფიციალურად“ ხდებოდა? რეცენზენტი საუბრობს ევროპაში, გარდა გერმანიისა და საფრანგეთისა, ყველგან არაფორმალურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე, მათ შორის ასეთი არაოფიციალური მისიები ყოფილა ოსმალეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, უკრაინაში, პოლონეთში, იტალიაში და ა. შ. მე მართლაც მიჭირს ამაზე კომენტარის გაკეთება.

29 საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, ტ. I, თბ. 2015, გვ. 218.

პასუხი 4.

ბ. კობახიძე წერს: „იმავე გვერდზე ავტორი აცხადებს, რომ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ჰყავდა არგენტინაში და აშშ-ში. საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდ ნომერ 1864-ში ორი აღწერაა, ათასზე მეტი საქმითა და ათიათასობით საარქივო ფურცლით. ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი და დალაგებული: თითოეულ ქვეყანაში წარმომადგენლობათა მუშაობა, ფინანსური ანგარიშები, პირადი წერილები და ა.შ. ბნ. სამუშიას, სტატიაზე მუშაობისას, ეს დოკუმენტები ზედაპირულადაც რომ შეეთვალიერებინა, დაინახავდა, რომ არც არგენტინაში და არც აშშ-ში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არ ჰქონია.“

ჯერ ერთი, მე ჩამოვთვლი იმ ქვეყნებს, სადაც საქართველოს ჰყავდა დანიშნული თავისი წარმომადგენელი. ტექსტში წერია – „საქართველოს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა...“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ არა წარმომადგენლობაზე ანუ დიპლომატიურ ოფისზე, არამედ საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნულ ოფიციალურ წარმომადგენლებზე. ეს ნიუანსები საჭიროა იცოდეს ადამიანმა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას იკვლევს. დღესაც ჩვენ გვყავს დანიშნული ელჩები ბევრ სახელმწიფოში, თუმცა იქ ფიზიკურად საელჩო არ არის, რამეთუ ერთი წამყვანი ქვეყნის საელჩო ფარავს რამდენიმე სახელმწიფოს.

ახლა კი მივყვით დოკუმენტებს.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1919 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე განიხილეს „ამერიკასა და ყუბანში დელეგაციების გასაგზავნი ხარჯებისათვის გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 3.000.000 მანეთის გადადების შესახებ. კომისიის მხრით მომხსენებელია კონ. ჯაფარიძე“³⁰. ამას მოჰყვა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი მოადგილის ალ. ლომთათიძისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ევ. გეგეჭკორის ხელმოწერილი დეკრეტი: „გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი მანეთი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყუბანს დელეგაციების გასაგზავნი ხარჯის დასაფარავად“³¹. სამართლებრივი თვალსაზრისით ეს დოკუმენტი კანონის ტოლფასია, რომელიც არა მხოლოდ ავალდებულებდა მთავრობას თანხის გადადებას კონკრეტული მიზნისთვის, არამედ ოფიციალურად უშვებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმომადგენლის ყოფნას. მთავრობის გადაწყვეტილებით, ამერიკაში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნა ინგლისში საქართველოს წარმომადგენელი დ. ლამბაშიძე, რომელიც 23 ნოემბერს თავისი მისიის შესასრულებლად გაემგზავრა ევროპაში. ჩაფიქრებული იყო მისი ამერიკაში გამგზავრებაც. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „23 ნოემბერს საღამოს 12 საათზე ტფილისიდან ინგლისსა და ამერიკაში გაემგზავრა ხსენებულ ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნული დ. ლამბაშიძე“³². ჩვენ საგანგებოდ მოვიტა-

30 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტომი III, 1919 წლის 28 ივლისი -11 ნოემბერი, თბ., 2019, გვ. 318 და 341.

31 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ოქტომბერი, #243, 1919, გვ. 1.

32 „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 1919 წ. #268, გვ. 1. იხ. ასევე, ო. ჯაფარიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ. 2018, გვ. 259. საზოგადოდ ლამბაშიძის ბრიტანეთში მოღვაწეობის შესახებ იხ. ბ. კობახიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიპლომატიის

ნეთ მაინცდამაინც დ. ლამბაშიძის მაგალითი, თუმცა მანამდეც იყო მცდელობა ამერიკაში წარმომადგენლის გაგზავნისა. ამ შემთხვევაში დამფუძნებელი კრების დეკრეტი ანუ კანონი ყველაზე მაღალი იურიდიული ძალის დოკუმენტია. ეს იყო სახელმწიფოს გადაწყვეტილება დიპლომატიური წარმომადგენელი ჰყოლოდა აშშ-ში. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ დიპლომატიური პრაქტიკის ერთი ნიუანსი, როდესაც ერთი ქვეყნის საელჩო ფარავს რამდენიმე ქვეყანას. დ. ლამბაშიძე სწორედ ასეთი სტატუსით იყო წარგზავნილი – „ინგლისსა და ამერიკაში... საქართველოს წარმომადგენლად.“ მისი ძირითადი ფუნქცია იყო ინგლისში დიპლომატიური საქმიანობა, ხოლო ამერიკასთან კონტაქტები პარალელურად უნდა დალაგებულყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი აშშ-ს პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, მათ შორის ამ საკითხს, უკანასკნელ ხანს, რეცენზენტმაც მიუძღვნა საინტერესო ერთი ქვეთავი თავის დისერტაციაში. დამფუძნებელ კრებაზე არაერთგზის განხილულა ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსი საქართველოს მიმართ. როგორც ჩანს, ამერიკის ქართული სახელმწიფოსადმი ბოლომდე გაურკვეველმა პოზიციამ ხელი შეუშალა დ. ლამბაშიძეს თავისი საქმიანობა განეხორციელებინა ვაშინგტონში, თუმცა იგი საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული იყო ამერიკაში საქართველოს წარმომადგენლად. ოფიციალურად, 1920 წლის მიწურულს და 1921 წლის დასაწყისში, არა თუ პოლიტიკური წარმომადგენელი იყო დანიშნული აშშ-ი, არამედ ეკონომიკურიც (Representation Economique de la Republique Georgienne pour L'Europe & l'Amerique). ამ ფუნქციას ასრულებდა ცნობილი სოციალ-დემოკრატი მატვეი ივანეს ძე სკობელევი, რომელმაც 1921 წლის 3 აპრილს აკაკი ჩხენკელს გადადგომა სთხოვა.³³

რაც შეეხება არგენტინას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეფუძნებოდით ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ ფაქტს, რომ ასეთ დიპლომატიური წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდა ანდრია დეკანოზიშვილი. ამ საკითხზე დ. შველიძე აღნიშნავს, რომ ა. დეკანოზიშვილი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო რესპუბლიკის წარმომადგენელი არგენტინაში. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არგენტინასთან ურთიერთობაში და არგენტინის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეიურედ აღიარების საქმეში“ (შველიძე 2018, 127) ამ შემთხვევაში არგენტინასთან ურთიერთობა წარმოებდა ევროპაში არგენტინის დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით. როგორც ირკვევა, არგენტინასაც ჰყავდა ასეთი წარმომადგენელი დანიშნული საქართველოში.

პასუხი 5

ბ. კობახიძე წერს: „ზემოთ უკვე ვთქვი სად მდებარეობდა ევროპაში ორი ქართული საელჩო, მაგრამ ავტორი არ განმარტავს, სად იყო საელჩო და სად წარმომადგენლობა, რა სხვაობაა მათ შორის. პარიზში საინფორმაციო ბიურო კი არა, მთავარი დიპლომატიური მისია იყო მივლინებული, რომელსაც არა მხოლოდ საინფორმაციო ბიურო, არამედ მთელ ევროპაში გაბნეული წარმომადგენლობები ექვემდებარებოდა 1919-1920 წლებში.“³⁴

უცნობი მხარეები – დავით ლამბაშიძე, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები 1(12), თბ. 2013. ამ სტატიაში ამერიკაში დ. ლამბაშიძის წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ საუბარი არ არის.

33 ამ პიროვნების ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ურთიერთობა ცაკლე კვლევის საგანია.

34 პარიზში დიპლომატიური მისიის საქმიანობისა და მისგან ქართული დიპლომატიური წარმომადგენლობების კოორდინაციის შესახებ უფრო დეტალურად იხ. სცსა ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 129

და მერე ვინ უარყოფს ამას? ან სადმე გვიწერია, პარიზში არ იყო საქართველოს დიპლომატიური მისიაო. ჩამონათვალში ხომ ის პირველია მითითებული. არ მესმის, რისი თქმა უნდა ავტორს. შინაარსი ჩვენი ნათქვამისა მდგომარეობს შემდეგში, რომ პარიზში მისიასთან ერთად არსებობდა ასევე საინფორმაციო ბიურო. არ არსებობდა ასეთი სტრუქტურა? და თუ არსებობდა, მაშინ რა არის ამაში საკამათო? ეს იყო საკმაოდ დიდი ორგანიზაცია (საქართველოს კვალობაზე), რომელსაც ევალეზობდა მთელი საინფორმაციო საქმიანობის გაძღოლა ევროპაში, გამოსცემდა საკუთარ ბიულეტენს ფრანგულ ენაზე, რომელშიც იწერებოდა უახლესი ცნობები საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და მოვლენებზე. ამ კონტექსტშიც, როგორც კი ჩვენს ტექსტს სცილდება რეცენზენტი და საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, უშვებს უზუსტობას: „პარიზში საინფორმაციო ბიურო კი არა, მთავარი დიპლომატიური მისია იყო მივლინებული, რომელსაც არა მხოლოდ საინფორმაციო ბიურო, არამედ მთელ ევროპაში გაბნეული წარმომადგენლობები ექვემდებარებოდა 1919-1920 წლებში.“ 1919-1920 წლებში პარიზის მისიას არ ექვემდებარებოდა პირდაპირ ევროპაში გაგზავნილი მისიები (რეცენზენტს მიაჩნია, რომ 1919 წელს რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსმალეთის, უკრაინის მისიები პარიზის წარმომადგენლობას ექვემდებარებოდა? თუ ამ ქვეყნებს ევროპად არ მიიჩნევს?).³⁵

ეს რომ ასეა, ჩანს საარქივო მასალიდან.

1920 წლის 27-28 სექტემბერს გაიმართა უცხოეთში არსებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა თათბირი. კ. კანდელაკის წინადადებით, „ცენტრალური წარმომადგენლობა უნდა ჩამოყალიბებულიყო პარიზში... ადგილობრივი წარმომადგენლობები ლონდონში, ბერლინში, და რომში.“³⁶ ფ. გოგიჩაიშვილსაც მიაჩნდა, რომ უცხოეთში დიპლომატიური საქმიანობის გასაძლიერებლად საჭირო იყო ეს სამუშაოები დაქვემდებარებოდა „ცენტრალურ ორგანიზაციას.“³⁷ ევ. გეგეჭკორის მიერ გაკეთებულ რეზიუმეშიც აღნიშნულია, რომ „ერთიანი ცენტრალური ორგანიზაციის“ ფორმირება ყველასათვის მისაღები იყო.³⁸ თუ ამ საკითხებზე ქართველი დიპლომატები მსჯელობდნენ 1920 წლის სექტემბერში, მაშინ როგორ ემორჩილებოდა პარიზის მისიას 1919-1920 წლებში მთელი ევროპის დიპლომატიური წარმომადგენლობები? საარქივო მასალების გაცნობა ნამდვილად არ მისცემდა უფლებას რეცენზენტს ასეთი დასკვნა გაეკეთებინა. იმავე 1920 წლის სექტემბერის თათბირზე ყველა მისია ცალ-ცალკე აკეთებს მოხსენებას და თავის ბიუჯეტს აცნობს დამსწრე საზოგადოებას. მთავრობა ყველა მათგანს ცალკე გამოუყოფდა დაფინანსებას და ეს პირდაპირაა მითითებული ამ დოკუმენტში.³⁹

რეალურად კი ვითარება ასეთი იყო. 1920 წლის მეორე ნახევარში, მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა უცხოეთში არსებული დიპლომატიური მისიების რეორგანიზაცია განეხორციელებინა. ამ რეფორმას უნდა გაეძლიერებინა პარიზში მივლინებული დიპლომატიური მისია და ერთი ქუდის ქვეშ მოექ-

35 რამდენადაც მასალებიდან ირკვევა, ერთადერთი წერილია სუმბათაშვილის, რომელიც აკ. ჩხენკელს ფინანსურ ანგარიშს აბარებს. სხვა მისიები დამოუკიდებლად მართავდნენ თავის საქმეს და რაიმე სახის ადმინისტრაციული დაქვემდებარება, ყოველ შემთხვევაში 1919 წელს, პარიზის მისიის მიმართ არ ჩანს.

36 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 424, ფ. 14

37 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 424, ფ. 14

38 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 424, ფ. 16

39 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 424, ფ. 12-13

ცია დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში არსებული მისიები (და არა მთელი ევროპის). ამას შტატების შემცირებაც ახლდა თან, ზოგიერთ ქვეყანაში – წარმომადგენლობა-საელჩოების გაუქმებაც კი. ამ პროცესს გარკვეული დრო და საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდებოდა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია დიდძალი მასალა, რომელშიც მთელი ეს პროცესია ასახული. სასურველი იყო რეცენზენტს სცოდნოდა ეს დოკუმენტები, ვიდრე სხვას უსაყვედურებდა მათ გამოუყენებლობას. 1921 წლის 11 იანვარს მთავრობის სხდომაზე განიხილეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენს წარმომადგენლობის რეორგანიზაციას საფუძვლად დაედო პრინციპი ცენტრალიზაციისა. წარმომადგენლობის ცენტრად ავირჩიეთ პარიზი, სადაც იქნება ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლის რეზიდენცია. მას დაევალება ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობა ანტანტის ყველა სახელმწიფოში, აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნებში. ასეთი გაერთიანება წარმომადგენლობისა და მისი ორგანიზაციის გამარტივება გამოწვეულია ორის მოსაზრებით: ერთის მხრით პოლიტიკური მიზანშეწონილება მოითხოვს ევროპის ქვეყნებში ჩვენი მუშაობის ერთ საფუძველზე დამყარებას, ამისათვის საჭიროა ერთი პიროვნების ხელში იყოს მოქცეული ევროპაში ჩვენი პოლიტიკური მოქმედების სადავე; მეორე მხრით ეკონომიური თვალსაზრისით ჩვენი პატარა სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლობის ხარჯების შემცირებას... ამგვარად, პარიზში არსდება ჩვენი ცენტრალური წარმომადგენლობა ანტანტის და ნეიტრალურ ქვეყნებისათვის საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახით“⁴⁰. მთავრობის დადგენილება, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით, იმავე დღეს გადაეგზავნა დამფუძნებელ კრებას, რომელმაც მისი განხილვა დაიწყო მეორე დღეს. 1921 წ. 12 იანვრის დღის წესრიგში უკვე შეტანილია ეს საკითხი: „მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 12-ს, წარმოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის კანონპროექტი – დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლების შტატების დამტკიცებისა. პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა იანვრის 11-ს სხდომაზე. პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას და შემდეგ შტატებს: 1) სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა საფრანგეთში (პარიზში). 2) საინფორმაციო ბიუროსი საფრანგეთში (პარიზში). 3) რომის საკონსულოში. 4) საქართველოს ცენტრალური წარმომადგენლობის ბიუროსი ლონდონში. 5) სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ბერლინში და 6) კომერციული აგენტისა საფრანგეთში. პროექტს დართული აქვს მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი. . . დართული არა აქვს სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა უწყების დასკვნა.“⁴¹

ამ დოკუმენტების გაცნობისას მკითხველს ერთი კითხვა გაუჩნდება – თუ ევროპაში დიპლომატიური მისიების ცენტრალიზებული სისტემა 1919 წლიდან არსებობდა, რასაც გვიმტკიცებს რეცენზენტი, მაშ რა რეფორმას ახორციელებდნენ 1921 წლის იანვარ-თებერვალში? ან არადა, დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლობების რა ერთიან სტრუქტურას ქმნიდნენ? ამასთანავე უნდა დავაკონკრეტოთ, რომ ყველგან საუბარია ანტანტის ქვეყნებში ერთიან დიპლომატიურ წარმომადგენლობის შექმნაზე და არა საერთო ევროპულზე.

40 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 55, ფ. 1 და 2.

41 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომათა დოკუმენტები და დამატებები, ტ. VIII, 1921 წლის 1 იანვარი – 17 მარტი, თბ. 2020, გვ. 51.

პასუხი 6

რეცენზენტი წერს: „ჯ. სამუშია აცხადებს, რომ პოლონეთს თბილისში ჰქონდა საელჩო და ელჩი იყო ოსტროვსკი (საერთოდ, აკადემიური წერის წესია, როდესაც გვარს პირველად ახსენებ, სახელიც აუცილებლად უნდა მიუთითო, რაც ავტორს არ აქვს დაცული). ვაცლავ ოსტროვსკი არ ყოფილა ელჩი, ის იყო არაფორმალური წარმომადგენელი. პოლონეთს საელჩო, ასეთი ფორმალური სახით, არასდროს გაუხსნია.“

დავიწყოთ იმით, იყო თუ არა დოქტორი ვ. ოსტროვსკი „არაფორმალური წარმომადგენელი“⁴² როგორც რეცენზენტი წერს. იმ დროის ოფიციალური ინფორმაციები სრულიად სხვა სურათს გვთავაზობს. ვ. ოსტროვსკის სტატუსზე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა: „საგარეო საქმეთა სამინისტროში. უცხო წარმომადგენელნი მინისტრთან. შაბათს, 25 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგენენ პოლონეთის წარმომადგენელი დ-რი ოსტროვსკი და უკრაინის მისიის თავმჯდომარე კრასკოვსკი.“⁴³ ამ პიროვნების სტატუსი ზუსტად ასეა მითითებული გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 2 მარტის ნომერშიც, სადაც საუბარია მის მიერ გორის მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში თანხის შეწირვაზე: „პოლონეთის წარმომადგენელმა ოსტროვსკიმ შესწირა 10.000 მან.“⁴⁴ 1920 წლის აპრილში ვ. ოსტროვსკი დამატებითი უფლებამოსილებით აღიჭურვა: „ტფილისში მყოფი პოლონეთის წარმომადგენელი ვ. ოსტროვსკი დაინიშნა პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო მისიის წევრად, რომელსაც მინდობილი აქვს საგანგებო საქმეთა გამგებლობა.“⁴⁵ ვაცლავ ოსტროვსკის პოლონეთის არაოფიციალურ წარმომადგენლად გამოცხადება უხერხულია, რამეთუ ის არა მხოლოდ საქართველოში იყო პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, არამედ ფარავდა აზერბაიჯანსა და სომხეთსაც. მისი ოფიციალური სტატუსი იყო „პოლონეთის წარმომადგენელი კავკასიაში“. რეცენზენტს თუნდაც ერთი თვალი რომ გადაეგლო აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიისათვის, დარწმუნდებოდა, რომ ვ. ოსტროვსკი არ იყო „არაოფიციალური წარმომადგენელი“. გაზ. „აზერბაიჯანი“ 1919 წლის 30 დეკემბერს წერდა: „28 დეკემბერს დილის მატარებლით ტფილისიდან ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი კავკასიაში ბატ. ვაცლავ ოსტროვსკი. უკანასკნელს რკინიგზის სადგურზე დახვდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (ამხანაგი).“⁴⁶ 1920 წლის 6 იანვრის გაზეთი „აზერბაიჯანი“ იუწყებოდა: „ორშაბათს, 29 დეკემბერს, პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი კავკასიაში ვაცლავ ოსტროვსკი ესტუმრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს და გამართა მათთან ხანგრძლივი შეხვედრა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, რის შემდეგ იგი ეწვია პარლამენტის სხდომას, სადაც პარლამენტის წევრები შეეგებნენ ხანგრძლივი ოვაციებით. პარლამენტის თავმჯდომარემ, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, თავის კაბინეტში მიიღო ბატონი ოსტროვსკი და გამართა საუბარი მიმდინარე

42 ვ. ოსტროვსკის შესახებ მოკლე, მაგრამ ინფორმაციული სტატია იხ. ირ. ირემადე, ოსტროვსკი ვაცლავ ვიქტორის ძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 313.

43 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 28 ოქტომბერი, #243, 1919, გვ. 1.

44 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 2 მარტი, #49, 1920, გვ. 2.

45 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 16 აპრილი, #83, 1920, გვ. 3.

46 АЗЕРБАЙДЖАНСКАЯ ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА (1918-1920), Внешняя политика (Документы и материалы), БАКУ 1998, გვ. 415

საკითხებზე... სამშაბათს, 30 დეკემბერს, აზერბაიჯანის მთავრობამ სასტუმრო „მეტრო-პოლში“ გამართა ბანკეტი ბატონ ოსტროვსკის პატივსაცემად, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა უმრავლესობა... ბანკეტის დასრულების შემდეგ... იმავე საღამოს ბატონი ოსტროვსკი გაემგზავრა მის მუდმივ ადგილსამყოფელ ქალაქ ტფილისში.⁴⁷ როგორ წარმოუდგენია რეცენზენტს, ასეთი დიპლომატიური პროტოკოლით ქვეყანაში ხვდებიან „არაფორმალურ წარმომადგენელს“? თანაც ამ მისიის ადგილსამყოფელი თბილისია. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ სხვა ცნობებს, რომლებშიც ვ. ოსტროვსკი პოლონეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად იხსენიება. განსაკუთრებით საინტერესოა ის საარქივო დოკუმენტები, რომლებიც პირველად სწორედ ჩვენ მიერ გამოქვეყნდა და რომელიც ეკუთვნის საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის საფარქვეშ მოქმედ აგენტურას. სწორედ მათ მიერ იყო დამუშავებული პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა და განსაზღვრული, ვინ ასრულებდა დიპლომატიურ თუ სადაზვერვო ფუნქციას.⁴⁸

ახლა კი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ვ. ოსტროვსკი ელჩად მიგვეჩინა. საქართველოსა და აზერბაიჯანში პოლონელთა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს იმ სახის დიპლომატიური ეტიკეტით ხვდებოდნენ, რომელსაც ელჩის რანგის დიპლომატებს მიაგებდნენ. მაგრამ მთავარი აქ სხვა საკითხია. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჰქონდა თავისი ლეგაცია-საელჩო პოლონეთში, იმავე სტატუსის დიპლომატიური წარმომადგენლობა უნდა ყოფილიყო პოლონეთის რესპუბლიკის მხრიდან ჩვენს ქვეყანაში, ასეთია საერთაშორისო ნორმა. ჩვენ სწორედ ამას ვეფუძნებოდით, როდესაც მას ამ სტატუსით ვიხსენიებდით.

პასუხი 7

ბ. კობახიძე წერს: „ავტორი, ბოლო, მე-9 გვერდზე უსაფუძვლო სპეკულაციას ეწევა და აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ საქართველოს ევროპაში ჰყავდა დაზვერვის სამსახური, მაგრამ ალბათო ეს სამსახური ძლიერი არ იყო. ცხადია წყაროზე მითითებას არ აკეთებს და ვერც მიუთითებს, რადგან ასეთი წყაროები არ არსებობს... წყაროების არარსებობაც რომ გვერდზე გადავდოთ, ეპოქის მცოდნე მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არავითარი რესურსი არ ჰქონდა ევროპაში სადაზვერვო ქსელის ქონისა.“ აქ აშკარად გაექცა კალამი რეცენზენტს, როდესაც სიტყვა „სპეკულაცია“ იხმარა. არ ვარგა ასეთი ტონი, ბატონო ბექა, არამეცნიერულია. აი სინამდვილეში რას ვწერდი: „აგენტურული ქსელი, **სავარაუდოდ**, ქართულ მხარეს უნდა ჰქონოდა ევროპულ სახელმწიფოებში, თუმცა საკმაოდ სუსტი. უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, დაზვერვა საელჩოს საფარვლის ქვეშ მოქმედებდა. ქართული საიდუმლო სამსახური შედარებით გამართულად მუშაობდა აზერბაიჯანსა და სომხეთში.“ რატომღაც რეცენზენტი კატეგორიული ტონით აცხადებს, რომ ჩვენ წყაროს ვერ მივუთითებთ საქართველოს საგარეო დაზვერვის არსებობასთან დაკავშირებით და რომ თურმე „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არავითარი რესურსი არ ჰქონდა ევროპაში (მათ შორის რუ-

47 АЗЕРБАЙДЖАНСКАЯ ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА (1918-1920), Внешняя политика (Документы и материалы), გვ. 420.

48 სეა, ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 3.

სეთში, უკრაინაში, სომხეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში. ჯ.ს.) სადაზვერვო ქსელის ქონისა: აშკარაა, ბ. კობახიძე არ იცნობს არც შესაბამის მასალას და არც წარმოუდგენია ამ სამსახურის სპეციფიკა. მას ჰგონია, რომ საქართველოს მაინცდამაინც „აგენტი 007“ უნდა ჰყოლოდა. საგარეო დაზვერვა, ჩვენისთანა პატარა ქვეყნებისთვის, ძირითადად, ანალიტიკური ხასიათისაა, რომელიც მდგომარეობს ქვეყნისათვის საჭირო (სტრატეგიული მნიშვნელობის) ინფორმაციის მოძიებასა და გადმოგზავნაში. ამ სამუშაოს ხშირად ჩვეულებრივი დიპლომატები ასრულებენ და საჭირო არ იყო ცალკე რეზიდენტურის არსებობა, თუმცა დაზვერვის ელემენტი დიპლომატიურ მისიაში, ძირითადად, სამხედრო ატაშეს ჰქონდა დაკისრებული. რაც შეხება საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებში და ასევე, დენიკინის არმიის შტაბში, უკრაინაში არსებობდა ცალკე სადაზვერვო ქსელი. რეცენზენტი, როგორც ჩანს, არ იცნობს იმ მასალას, რომელიც ამ კუთხით დაცულია ჩვენს არქივებში. სამწუხაროა, რომ ბ. კობახიძეს შეუძლია უაპელაციოდ დაგაბრალოს ეპოქის არცოდნა, ფაქტის გაყალბება და ა.შ. ბატონო რეცენზენტო, რომ აღმოჩნდეს დოკუმენტები საქართველოში დაზვერვის სამსახურის არსებობის შესახებ და მასალები დიპლომატიური საფარქვეშ მოქმედი რეზიდენტურების შესახებ, მაშინ რას იზამთ, მოიხდით ბოდიშს ასეთი ტონისთვის? ყველა თქვენი „შენიშვნა“ ზემოთ ნახეთ რომ გაბათილდა და არავითარი საფუძველი კრიტიკისა არ არის, მაგრამ, ამჯერად, ჩემს მსჯელობას „სპეკულაცია“ უწოდეთ, ეს ძალიან ცუდია, როდესაც თავად საქმეში ჩაუხედავი სხვას ტალახს ესვრით. ამასთანავე ირონიის ტონით მოიხსენიეთ მთელი თაობა ქართველი მკვლევრებისა, რომლებმაც იმუშავეს „მსტოვრების“ ინსტიტუტზე, თითქოს ისე გამოგივიდათ – მანდ ზღაპრებს რომ ყვებით, ყველაფერი ასე არ არისო. ჯერ არსებობს სამეცნიერო კამათის ფორმა და შემდეგაა შინაარსი. ფორმა ცუდია არჩეული – როდესაც ადამიანს აბრალებ იმას, რაშიც ის მართალია, რაც შეეხება შინაარსს, ამაზე ახლა მოგახსენებთ.

სამხედრო ატაშეს საფარველის ქვეშ მოქმედი რუსეთის დაზვერვის 1920 წლის 7 დეკემბრის მოხსენებით, საქართველოში არსებობდა დაზვერვის მიმართულება, რომელიც შედიოდა სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის დაქვემდებარებაში და რომელსაც ხელმძღვანელობდა „თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილი, მისი თანაშემწე იყო კაპიტანი ზედგენიძე, განყოფილების მდივნები – პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი და გენერალი ფურცელაძე. შემდეგ მითითებულია ბათუმის რეგიონალური დაზვერვის ხელმძღვანელი კაპიტანი ციციშვილი.“⁴⁹ ამ მასალას ჩვენ, ბუნებრივია, 2011 წლისათვის ვიცნობდით და ამიტომაც გავაკეთეთ მინიშნება საგარეო დაზვერვაზე ჩვენს სტატიაში. ამასთანავე, შსს-ის არქივის მაშინდელი ხელმძღვანელის ომარ თუშურაშვილის მიერ ინფორმირებული ვიყავით, რომ არსებობდა სხვა მასალებიც, რომლებშიც დაცული იყო ცნობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურისა და უცხოეთში არსებულ რეზიდენტურათა შესახებ. ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ 2012 წლის სტატიაში ძირითადი აქცენტები გავაკეთეთ ცალკეულ თემებზე, ამიტომაც ყველა მასალა არც დაგვიმუშავებია, თუმცა მათი არსებობის შესახებ, რა თქმა უნდა, გვქონდა ინფორმაცია. ამიტომ გაჩნდა სტატიაში ეს მიმართულება, რამეთუ ის ინფორმაცია, რაც ჩვენს ხელთ იყო, გვაძლევდა იმის უფლებას გვეთქვა, რომ საგარეო დაზვერვა მჭიდროდ თანამშრომლობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. დღეისათვის ნაწილი ამ საარქივო მასალისა გამოქვეყნებულია, ნაწილი ჯერაც ელოდება მკვლევარს.

49 სეა, ფონდი 1874, ანაწერი 1, საქმე 3.

დავიწყით უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული დავით ხვადაგიანის ერთი საინტერესო სტატიით, რომელიც ეძღვნება ვლადიკავკაზში არსებულ საკონსულოს საფარველის ქვეშ მოქმედ საქართველოს დაზვერვისა და მთავარი რეზიდენტის სიო სეფერთელაძის საქმიანობას. ავტორის მითითებით: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბს, 1920 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვლადიკავკაზში განთავსებული მთავარი რეზიდენტი, ერთი მეკავშირე-კურიერი და ცხრა აგენტი ჰყავდა, რომლებიც ვლადიკავკაზში, გროზნოში, მინერალურ წყლებში, არმავირში, კავკაზსკიში, როსტოვში, ეკატერინოდარში, ტუაფსეში და სტავროპოლში მოქმედებდნენ“ (ხვადაგიანი 2021). იქვე ავტორს მოაქვს დაზვერვის ოფიცრის პეტრე ფავლენიშვილის ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწეობის საინტერესო ფაქტები: „1920 წლის ივნისის დასაწყისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის დაზვერვის უფროსმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე ბაგრატიონ-დავიდოვმა, სამხედრო დაზვერვის ოფიცერი – პეტრე ფავლენიშვილი დაიბარა და მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმე დაავალა. პეტრე ფავლენიშვილს, რომელიც კარგად იცნობდა ვლადიკავკაზს, უნდა გაეძლიერებინა და მოეწესრიგებინა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი სადაზვერვო ქსელი, რომელსაც ვლადიკავკაზის ქართულ საკონსულოში, მოქმედი რეზიდენტი – ქუმსიაშვილი ხელმძღვანელობდა და ბაგრატიონი მისი მუშაობით უკმაყოფილო იყო... ინსტრუქციებით და 600. 000 მანეთით მომარაგებული ფავლენიშვილი, საკონსულოს მეორე მდივნის საფარით, ვლადიკავკაზში ივლისში ჩავიდა“ (იქვე). როგორც ვხედავთ, რეცენზენტის ეჭვები, რომ საქართველოს არ ჰყავდა საგარეო დაზვერვა და მას არავითარი კავშირი დიპლომატიურ სამსახურთან არ ჰქონდაო, ამ ერთი ფაქტით უკვე გაბათილდა. ჩვენ წინაშეა ქართული და რუსული დაზვერვის ბრძოლის საინტერესო ფურცელი. რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია. საქართველოს საგარეო დაზვერვის ისტორიაში საკმაოდ საინტერესო ფიგურად მოჩანს პეტრე ფავლენიშვილი. იგი გასაბჭოების შემდეგ დააპატიმრეს და დაკითხვისას მიცემულ ჩვენებებში საქართველოს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საინტერესო ფაქტები ახსენა. შსს-ს არქივში არსებობს მთელი საქმე პეტრე მიხეილის ძე ფავლენიშვილთან დაკავშირებით.⁵⁰ თავისი თანამდებობით მას დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიმართულებით მაღალი პოზიცია არ ეკავა, თუმცა მის მიერ მოცემული ცნობებში კავკასიის მასშტაბით ამ სამსახურის ორგანიზაციული მხარე კარგად ჩანს. პ. ფავლენიშვილი ჩვენებაში ამბობს: „(კონტრდაზვერვის) პუნქტების ხელმძღვანელთა საქმიანობის სფეროში შემოდიოდა მეზობლებზე (სახელმწიფოებზე. ფ.ს.) თვალყურის დევნა. მაგალითად სოხუმის პუნქტის ხელმძღვანელზე მინდობილი იყო თვალყურის დევნა სოფ. მენადირიდან, ნოვოროსისკამდე, და მარჯვნივ ყარაჩაი-ყაბარდომდე, ბათუმისას მთლიანი აჭარა და ლაზისტანი ტრაპიზონამდე, ყაზბეგისას – ვლადიკავკაზის რაიონი და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასია, ლაგოდეხისას – ზაქათალას ოლქი – ნუსხა (შაქი), ბაქო, ბორჩალოსას – აზერბაიჯანი და ა.შ... ამავდ დროს დაინიშნენ სამხედრო ატაშეები სხვადასხვა ადგილას, კერძოდ: ბაქოში დაინიშნა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი კარგალეთელი, რომელიც შეცვალა შემდეგ ასევე გენერალური შტაბის პოლკოვნიკმა ნაცვალოვმა, ამჟამად სამხედრო ატაშემ მოსკოვში. ერევანში იყო გენერალი კარალოვი, ბათუმში (ინგლისელების დროს) გენერალი ფურცელაძე... ატაშეთა მიზანი იყო იმავე საკითხების

50 შსს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე #2145, ტ. 6. ამ მასალაზე წლების წინ მიგვითითა არქივის იმჟამინდელმა დირექტორმა ომარ თუშურაშვილმა, რისთვისაც ვუხდი მადლობას.

გამორკვევა, რომელთა თაობაზე ზემოთ მივუთითეთ (კონტრდაზვერვის) პუნქტების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით... სამხედრო ატაშეები ცნობებს აგზავნიდნენ კურიერთა მეშვეობით გენშტაბის ხელმძღვანელის სახელზე, რომელიც გადასცემდა დაზვერვას კრებსისის შესადგენად და უკვე ამის შემდეგ მას კვლავ წარუდგენდნენ გენერალურ შტაბის ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი კი სამხედრო მინისტრს.⁵¹ აქვე დავამატებთ, რომ სამხედრო ატაშეები, რომლებიც სამხედრო დაზვერვის რეზიდენტს წარმოადგენდნენ მასპინძელ ქვეყანაში, საქართველოს დანიშნული ჰყავდა რუსეთისა და კავკასიის სახელმწიფოთა გარდა სხვა ქვეყნებშიც (მაგალითად უკრაინაში და ა. შ.). ამ მასალების ფონზე შეიძლება ვინმემ ეჭვი შეიტანოს 1918-1921 წლების საქართველოში დაზვერვის არსებობაში? რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის საზღვრისპირა ნაწილში შექმნილია დაზვერვის ქსელი. მათი მეშვეობით კონტრდაზვერვის რეგიონული ცენტრები იღებდნენ ცნობებს. საელჩოებში კი საგარეო დაზვერვის რეზიდენტს წარმოადგენდა სამხედრო ატაშე, რომლის უშუალო ფუნქციაში შედიოდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება. მეტიც, პ. ფავლენიშვილის მითითებით, დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელი დროდადრო აგზავნიდა უცხოეთში თავის აგენტებს, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოსაპოვებლად, მხოლოდ მათი ვინაობა მან არ იცოდა, რამეთუ ეს ინფორმაცია საიდუმლოდ ინახებოდა და მის შესახებ იცოდა მხოლოდ „განყოფილების ხელმძღვანელმა ბაგრატიონ-დავიდოვმა და თევზაძემ, დაზვერვის განყოფილების თანამშრომელმა.“ რეცენზენტი არ იცნობს ამ და სხვა მასალას. ფაქტი კი ერთია, საგარეო დაზვერვის მიმართულება, სამხედრო სისტემის შიგნით, საქართველოში მოქმედებდა და ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიპლომატიურ სამსახურთან. არსებული მასალა უფრო მეტ საინტერესო ფაქტს ჰყენს ნათელს. კერძოდ, საქართველოს დაზვერვა ინტენსიურად თანამშრომლობდა ასევე დიპლომატიურ საფარქვეშ მოქმედ ფრანგულ და ინგლისურ რეზიდენტებთან და მხარეები ცვლიდნენ ინფორმაციას, უპირველესად საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოდ. სამხედრო დაზვერვაში, ხელმძღვანელის თანამშრომლის თანამდებობაზე, მოღვაწეობდა ვალერიან თევზაძე, რომელმაც საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა. მათ შორის, როგორ მუშაობდა საქართველოს დაზვერვა დენიკინის წინააღმდეგ აზერბაიჯანის, თურქეთის ტერიტორიაზე და, ასევე, კონტრდაზვერვა რუსეთის მისიის წინააღმდეგ. იგი წერს: „ბოლშევიკების გეგმაში ოსმალეთის შემოტევაზე არაფერი იყო ნათქვამი, გვქონდა ცნობები, რომ საქართველოს მხრივ მძლავრი წინააღმდეგობის მოლოდინში იძულებული იქნებიან შეუთანხმდნენ ოსმალეთს თანამოქმედების შესახებ და სამაგიეროდ თავაზობდნენ არდაგანისა და ბათუმის რაიონებს“ (თევზაძე 1990, 43). ჩვენ სწორედ ასეთ ცნობებს ვგულისხმობთ, რომლის წყარო, უმრავლეს შემთხვევაში, საქართველოს დიპლომატიური მისია იქნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში სპეციალური ჯგუფიც კი იყო, რომელიც საიდუმლო შიფროგრამებს შიფრავდა, ხოლო საელჩოებში იყვნენ სპეციალისტები, რომლებსაც ევალებოდათ დაშიფრული ინფორმაციების გადმოგზავნა. როგორ ჰგონია რეცენზენტს, ასეთი დაშიფრული წერილებით ოფიციალური ცნობები იგზავნებოდა, ე. წ. „ღია ინფორმაციები?!“ რა თქმა უნდა, არა. და რომ ეს ნამდვილად ასეა, ჩანს ისევ და ისევ საარქივო მასალიდან. მაშინ როცა ჩემი წერილი იწერებოდა, ამ დოკუმენტებს მხოლოდ გ. შარაძის მითითებით ვიცნობდი, ამიტომაც მხოლოდ საკითხზე მინიშნებით შემოვიფარგლე. დღეს არქივი დამუშავებულია და ხელმისაწვდომ

51 შსს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე #2145, ტ. 6. ფ. 102.

მია დაინტერესებული მკითხველისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მასალაში ათობით დაშიფრული დეპეშაა შემონახული დასავლეთ ევროპიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და სხვა.

ამ თემაზე საინტერესო მოგონება შემონახული აქვს დიმიტრი შალიკაშვილს, რომელიც საგანგებო დავალებათა ოფიცრის სტატუსით იყო თურქეთის საელჩოში დანიშნული. იგი წერს: „ქარცივაძე და ზია ბეი აბაშიძე ორი დღით ადრე გაემგზავრნენ ბათუმს. ვაგონში ბევრი ნაცნობია. საგარეო სამინისტროს დაავიწყდა შიფრის გამოტანება. ერთ-ერთი სადგურიდან ვუდეპეშეთ, იგი ბათუმს გამოეგზავნათ“ (შარაძე 2003, 51). რა შიფრზეა საუბარი? ყველა საელჩოს ჰქონდა საიდუმლო შიფრი, რომლის მეშვეობით იგზავნებოდა დაშიფრული დეპეშები. იყო ოფიციალური დეპეშები და საიდუმლო. სწორედ ამ უკანასკნელისთვის იყენებდნენ საგანგებოდ შექმნილ შიფრს. იმედია, რეცენზენტს არ ჰგონია, რომ ასეთ შიფრებს ჩვეულებრივი დიპლომატები ადგენდნენ. ეს არის სპეციალური სამსახურის დანიშნულება და მის გამოყენებასაც თავისი წესები ჰქონდა. უცხოეთში, საგარეო უწყებებში, სპეციალური დანაყოფი არსებობდა, რომელიც ასეთ შიფრებს ადგენდა. ისინი ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ საგარეო დაზვერვის სისტემასთან, რამეთუ საერთო ინტერესები ჰქონდათ. საქართველოში ასეთი საიდუმლო შიფრი საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰქონდა, თუმცა ვერ დგინდება ვისი შექმნილია ის. თავისი შედგენილობით ის საინტერესო კომბინაციაა. დ. შალიკაშვილი ასევე იხსენებდა: „საიდუმლო დეპეშას როცა ვადგენდი, არისტო ჭუმბაძემ მოგვითხრო – ომის დროს ფრანგული შტაბი თვეში ერთჯერ სცვლიდა შიფრს, რადგან გერმანელები მალე ხსნიდნენო მას. ბოლოს მოიგონეს ასეთი რამ: სადღაც აფრიკაში მონახეს ერთი პატარა ტომი, რომელიც სულ რამოდენიმე ოჯახისაგან შესდგებოდა და რომლის ენა ცნობილი არ იყო. წამოიყვანეს იქიდან ოთხი კაცი. ორი მიიყვანეს საველე შტაბში, ორი – სამხედრო სამინისტროში, დანარჩენები გადაამალეს თუ ამოხოცესო. ამის შემდეგ გერმანელებმა ვერაფერი ვეღარ მოახერხესო. თუ ეს ანეგდოტია, მაინც დამახასიათებელია“ (იქვე, 79) ოდნავ ქვემოთ კი დ. შალიკაშვილი ახსენებს, რომ ანგორის მთავრობის კანცელარიაში მათ შეიტყვეს ანგორის პოზიცია ლონდონის კონფერენციასთან დაკავშირებით და მეორე დღეს თბილისში საიდუმლო დეპეშით გადმოაგზავნეს შესაბამისი ინფორმაცია (იქვე, 84). ასევე საიდუმლოდ მოპოვებული ინფორმაციის წყალობით აღმოჩნდა საქართველოში ბაქოში XI არმიის ფორმირებისა და გეგმების შესახებ ცნობა. გენერალი ალ. ზაქარიაძე იგონებდა: „უკვე 3.XI.20 წ. ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან ვიცოდით გადაწყვეტილება საბჭოების სამხედრო-რევოლუციონური საბჭოს და მთავრობის საქართველოზე იერიშის მოტანის შესახებ... 28.XII.20 წ. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ბ-ნ გეკკერის მოხსენება, შედგენილი მის მიერ საბჭოების სამხედრო-რევოლუციონური საბჭოსადმი ოცი დეკემბრის თარიღით. ბ-ნი გეკკერი ამ მოხსენებაში იმართლებდა თავს, თუ რატომ არ წამოვიდა საქართველოზე იერიშით შუა დეკემბერში და აყენებდა მთელ რიგ პრობლემებს“ (იქვე, 274-276). ამ ფაქტს ადასტურებს გ. კვინიტაძეც და გ. მაზნიაშვილიც (კვინიტაძე 1999, 39-40; მაზნიაშვილი 1927, 150-154). ვ. თევზაძე ამ ფაქტს კიდევ ერთ დეტალს უმატებს: „1920 წლის შემოდგომაზე ხელში ვიგდეთ და ფოტოგრაფზე აღვბეჭდეთ ბოლშევიკური XI ლაშქრის სარდალის ლევანდოვსკის გეგმა... გეგმა ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საქართველოს ლიკვიდაციას, მიმართულებებს და ძალთა შემადგენლობას“ (თევზაძე 1990, 42). ვინმეს ჰგონია, რომ ეს მასალა ქართულმა მხარემ ოფიციალურად მოიპოვა? ან რა უფლება გვაქვს არ ვერწმუნოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც პირდაპირი შე-

ხება ჰქონდათ საკითხთან. რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთი სახის ინფორმაციის მოპოვებას? ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ აგენტურულ საქმიანობას ვუწოდებთ. ვ. თევზაძე იმასაც კი უმატებს, რომ ეს დოკუმენტი „ფოტოგრაფზე აღვებჭდეთო“ ჩვენს სტატიაში სწორედ ამიტომ გავუსვით ხაზი, რომ სადაზვერვო ქსელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შედარებით სრულყოფილად ფუნქციონირებდაო.

ამას გარდა დიპლომატიური საიდუმლო მიმოწერის მეშვეობით ჩამოდიოდა საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციები, ქვეყანაში კი იყო ჯგუფი, რომელიც ამზადებდა შესაბამის შიფრებს, აგზავნიდა ჩვენს წარმომადგენლობებში, იღებდა იქიდან ინფორმაციას და ამუშავებდა მას. საქართველოს ეროვნულ არქივში ათობით ასეთი შიფროგრამაა შემონახული. დღეს ამ საქმიანობას საგარეო საქმეთა სამინისტრო და საგარეო დაზვერვა უძღვება, თუმცა 1918-1921 წლებში ასე დიფერენცირებული, რა თქმა უნდა, ეს სამუშაო არ იყო.

ახლა რაც შეეხება საიდუმლო შიფრს. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებდა საიდუმლო მიმოწერის საკმაოდ გამართული სისტემა. ეს რომ სცოდნოდა რეცენზენტს, ალბათ, ამ „შენიშვნასაც“ არ გამოთქვამდა და მით უმეტეს ამ ფორმით. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილი იყო მოსკოვის მისიასთან სასაუბროდ. მას ახლავს „განმარტება“ და „გარეშე საქმეთა სამინისტროს შიფრი“:

„განმარტება

1. შიფრი ხუთ მარცვლიანია.
2. მეხუთე ხუთ მარცვლოვანის უკანასკნელი ორი ნიშანი არის გასაღები შიფრისა. ეს რიცხვი უნდა იყოს დაყენებული ასო „ტ“ პირდაპირ.
3. შიფრიანი დეპეშის შედგენის დროს ყოველ ორ ციფრიან რიცხვს, რომელიც უდრის დეპეშის ყოველ ასოს, უნდა გამოაკლოთ (გარდა გასაღებისა), ათ-ათი (10), მიღებულ დეპეშის გახსნის წინეთ ყოველ ორ ციფრიან რიცხვს (გარდა გასაღებისა) უნდა მიუმატოთ ათ-ათი და ისე ამოვწეროთ შიფრიანი ფრაზების ტექსტი.⁵²

ამას მოჰყვება სამინისტროს შიფრი, სადაც ა – 33; ბ – 59; გ – 67; დ – 35; ე – 23; ვ – 53 და ა.შ. ნიშნავს.⁵³

ყველა მისიას თავისი შიფრი ჰქონდა, რომლის მეშვეობით ჩამოდიოდა სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაცია საქართველოში. შესაძლებელია მკითხველმა იკითხოს, ჰქონდა კი საქართველოს უცხოეთის წარმომადგენლობებს ისეთი ამოცანა, რომელიც სცდებოდა ღია დიპლომატიურ საქმიანობას. რა თქმა უნდა, ჰქონდათ და ამის შესახებ ჩვენს არქივებში დიდძალი ინფორმაციაა. თითოეული ამ ამოცანის მისაღწევად კი უმეტეს შემთხვევაში საჭირო იყო საიდუმლო მუშაობა. მაგალითად, კონსტანტინოპოლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის გრიგოლ რცხილაძის წერილში ევ. გეგეჭკორისადმი ჩამოყალიბებულია ის ძირითადი მიმართულებანი, რომელიც ფარულად უნდა განეხორციელებინა საელჩოს, მათ შორის არის დაზვერვითი ელემენტებიც. ერთ რა-

52 სეა, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 532, ფ. 1 და 2.

53 ამ საკითხზე ჩვენ ვრცლად ვისაუბრებთ ჩვენს სტატიაში – „საქართველო დიპლომატიური სამსახურის საიდუმლო მიმოწერის შიფრი 1918-1921 წლებში“ აქ აღვნიშნავთ, რომ ასეთი საიდუმლო მიმოწერა უნდა ჰქონოდა სხვა სამინისტროებსაც.

მეში ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ რეცენზენტს, რომ მძიმე ფინანსური მდგომარეობა საელჩოების სრულფასოვან ფუნქციონირებას, მათ შორის დაზვერვის მიმართულებით, ხელს უშლიდა, თუმცა ეს არის ერთი მხარე, რომელიც არ გამოორიცხავს თავად ფაქტის არსებობას. გრიგოლ რცხილაძე წერს: „საჭიროთ მიმართა გაგაცნოთ მისიის უმთავრესი ადგილობრივი საჭიროებანი: 1). გაუმჯობესება სატელეგრაფო კავშირისა ტფილისა და კონსტანტინოპოლს შუა, რისთვისაც არსებულ პოლიტიკურ პირობებში ერთად ერთი სა-შუალებაა საქართველოს რადიო-სადგურის მოწყობა კონსტანტინოპოლში; 2). მოწყობა ცნობათა ბიუროსი, რომელიც თვალს გაადევნებს უმთავრესად ანატოლიის ნაციონალის-ტთა მოძრაობას და დროზე შეატყობინებს საქართველოს მთავრობას თუ რაიმე აგრესი-ვობა განვითარდა სამხრეთიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინააღმდეგ; 3). მოწყო-ბა აგიტაციისა და პროპაგანდისა ლაზისტანში იმ მიზნით, რომ ლაზები შეიქმნენ ოსმალის აგრესივობისათვის საქართველოს წინააღმდეგ თვალსაჩინო დაბრკოლებად და 4). ორგანი-ზაცია ოსმალეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველებისა, მათ წრეში ქართული თვითშეგ-ნების აქტივობისათვის და მათის გავლენით აჭარლებზე და სხვა მაჰმადიან ქართველებზე საქართველოსადმი ლოიალობის გაძლიერებისათვის.“⁵⁴ ამ ამოცანებიდან მე-2, 3, 4 პირდა-პირ დაკავშირებულია საიდუმლო მუშაობასთან. მეტი კი არაფერია საგარეო დაზვერვის ამოცანა. ის, რასაც წერს გ. რცხილაძე, სცილდება დიპლომატიურ საქმიანობას – ლაზებისა და მუსლიმანი ქართველების გამოყენება ოსმალეთის წინააღმდეგ ეს სახელმწიფო უსაფრ-თხოების კომპონენტი იყო, ან თუნდაც, „ანატოლიის ნაციონალისტთა მოძრაობის“ შესახებ ცნობების შეკრება. ნამდვილად შორს წაგვიყვანს ამ საკითხზე საუბარი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩანასახის დონეზე არსებობდა როგორც დაზვერვის, ასე-ვე კონტრდაზვერვის სისტემა. ბუნებრივია, მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პი-რობებში ძნელი იყო სრულფასოვანი სახელისუფლო სტრუქტურების ფორმირება, თუმცა ცალკეული ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ეს მიმართულება ქვეყანაში იყო და საერთოდ უგულებელყოფა ამისა გაუმართლებელია.

ამდენად, მკითხველი თვალნათლივ ხედავს, რომ რეცენზენტის ე.წ. „შენიშვნები“ ყო-ველგვარ რეალურ საფუძველსაა მოკლებული. არც აკ. ჩხენკელი არავის „გადაუმაღავს.“ რევოლუციური წარსულის მიუხედავად, ბევრი ჩვენი დიპლომატი პროფესიონალად ჩამო-ყალიბდა და თავისი პოლიტიკური გამოცდილება ახალ საქმიანობაში ბრწყინვალედ გამო-იყენა. არც ტერმინი „ელჩის“ და „საელჩოს“ ხმარება იყო უცხო 1918-1921 წლებში საქარ-თველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიმართ, მეტიც, საკანონმდებლო დონეზეც კი ასე უწოდებდნენ მათ. ამერიკასა და არგენტინაშიც იყვნენ ჩვენი წარმომადგენლები დანიშნული. არც ვაცლავ ოსტროვსკი იყო „არაფორმალური წარმომადგენელი“ და მისი ფუნქცია ელჩის მოვალეობას უტოლდებოდა და ბოლოს, რეცენზენტის მტკიცებაც, რომ საქართველოში არ არსებობდა სადაზვერვო სამსახური და მას არ ჰქონდა კავშირი დიპ-ლომატიურ სამსახურთან, არ გამართლდა.

54 სეა, ფონდი 2121, ანაწერი 1, საქმე 44, ფ. 1.

გამოყენებული ლიტერატურა

- გურგენიძე, ე. 1990. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921. თბილისი: ივერთა მხარე
- თევზაძე, ვალერიან. 1990. *ქართველი ოფიცრის ჩანაწერები*. თბილისი: მეცნიერება
- კობახიძე, ბექა. 2021. ყურადღება! საზღვარი. რატომ უნდა ვიცოდეთ საზღვრების ისტორია. Civil.ge <https://civil.ge/ka/archives/423263> (18.01.2022)
- მაზნიაშვილი, გიორგი. 1927. *მოგონებანი 1917-1925*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა
- მეტრეველი, როინ (რედ). 2003. *ქართული დიპლომატიის ისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- შარაძე, გურამ. 2003. *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი IV*. თბილისი: მეცნიერება
- შველიძე, დიმიტრი. 2018. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ხვადაგიანი, დავით. 2021. კავკასელი: საიდუმლო ომი დარიალის კართან. Civil.ge <https://civil.ge/ka/archives/443462> (18.01.2022)
- ჯანელიძე, ოთარ. 2018. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები*. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა